

განმარტებითი ბარათი  
საქართველოს კანონის პროექტზე „ტურიზმისა და კურორტების  
შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის  
შესახებ”

ა.ა. ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

**ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:**

„ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ საქართველოს კანონის პროექტი მომხადებუელია „ადამიანიო ვაგრობის (ტრეფიკინგის) სამოქმედო გეგმის წინააღმდეგ ბრძოლის 2005-2006 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2004წლის 29 დეკემბრის N623 ბრძანებულებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარეგულირებელ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებებისა და დამატებების პროექტის შემუშავების ვალდებულებას სხვადასხვა ფორმის მიერ დასაქმების, გაცნობის, ტურიზმის, სწავლის, საშუამავლო საქმიანობის განხორციელების შეთავაზებისას მომხმარებელთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის გარანტიების უზრუნველსაყოფად.

**ა.ბ) კანონპროექტის მიზანი**

წარმოდგენილი კანონპროექტი მიზნად ისახავს ტურისტთა, როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და მათი სრული ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად ქმედითი სამართლებრივი მექანიზმების დაწესებას. ამასთან ხდება რიგი მუხლების შესწორება და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

**ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი**

კერძოდ, კანონის მე-13 მუხლს ემატება ახალი პუნქტი, რომლის შესაბამისად, ტურისტული მომსახურების სუბიექტები ვალდებულები არიან უზრუნველყონ ტურისტები ობიექტური, ზუსტი და ამომწურავი ინფორმაციით იმ პირობებისა და შესაძლებლობების თაობაზე, რასაც მათ მოგზაურობისა და დროებით განქრების მანძილზე სთავაზობს ტუროპერატორი ან ტურაგენტი, მოსალოდნელი საშიშროების შესახებ, ასევე პროფილაქტიური ღონისძიებების შესახებ, რომელთა გატარება სავალდებულოა მათი თავიდან ასაცილებლად. წარმოდგენილი ცვლილებების თანახმად, ტურისტს უნდა ეცნობოს აგრეთვე ტურისტული პროდუქტის მწარმოებლისა და სასტუმროს შესახებ (მისამართი, საკონტაქტო ტელეფონები), რომელიც გათვალისწინებულია ტურისტული მომსახურების პაკეტით, ასევე საქართველოს უახლოესი დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების, მიმღები ქვეყნის პოლიციის, პირველადი სამედიცინო დახმარების, აგრეთვე სხვა შესაბამისი დაწესებულების საკონტაქტო ტელეფონების შესახებ, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ ტურისტის უფლებების დაცვასა და მის უსაფრთხოებას.

ამასთან წარმოდგენილი პროექტის თანახმად, ხდება რიგი მუხლების შესწორება და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. კერძოდ, „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, ტურისტულ და საკურორტო საწარმოებს უფლება აქვთ მომსახურების ლიცენზია, თუ ეს მათი საქმიანობის ინტერესებიდან გამომდინარეობს. იმის გათვალისწინებით, რომ „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონი ამგავარი საქმიანობის ლიცენზირებას არ ითვალისწინებს, „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ საქართველოს კანონში ნორმების არსებობა სამართლებრივ დატვირთვას

მოკლებულია, აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით კანონიდან ამოღებულია მე-6 და მე-8 მუხლები და VIII თავი.

**ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:**

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე: კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე: კანონპროექტის მიღება არ ახდენს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღების საკითხი: კანონპროექტის თანახმად სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები არ ეკისრება.

ბ.ე) კანონპროექტის ფინანსური ზემოქმედება იმ პირებზე, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ფინანსურ ცვლილებებს ან მდგომარეობის გაუარესებას იმ პირთათვის, რომლებზეც ეს კანონპროექტი ვრცელდება.

ბ.ე) გადასახადების (მოსაკრებლების ან სხვა სახის გადასახდელის) შემოღებასთან დაკავშირებული საკითხები:

კანონპროექტი არ ადგენს რაიმე ახალ გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

**გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:**

გ.ა) კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს

გ.ბ) კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს;

გ.გ) კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს;

**დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებასთან დაკავშირებულ კონსულტაციებში მონაწილეობას იღებდა საქართველოს მთავრობა, საქართველოს გენერალური პროკურატურა, არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) წარმომადგენლების და ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების მდგომარეობა ასახულია შეთანხმების ფურცელში, რომელიც კანონპროექტის პაკეტს თან ერთვის.

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციებს (დაწესებულებებს) და ექსპერტებს წერილობითი შეფასება კანონპროექტის მიმართ არ წარმოდგენია.

დ.დ) კანონპროექტის ავტორი-პარლამენტის წევრი ღალი ფაფიაშვილი

დ.ე) კანონპროექტის ინიციატორია- პარლამენტის წევრი ღალი ფაფიაშვილი

კანონპროექტის მიღება არ იწვევს ცვლილებებს საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებში.